საჯარო სამართლის იურიდიული პირი
მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020176777783422

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/7382 **23 / სექტემბერი / 2022 წ.**

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაბა სურამის მიმდებარე ტერიტორიაზე (ფართობი - მიწის მინაკუთვნის I უბანი - 16 520 კვ.მ; II უბანი - 31 600 კვ.მ; სამთო მინაკუთვნის III უბანი - 62 710 კვ. მ), 627 100 კუბ. მეტრი კვარც-მინდვრისშპატიანი ქვიშის მოპოვების სკრინინგის განცხადებას (ID 54794-63600).

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით. სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზღვის დონიდან 820-870 მ სიმაღლეზე, ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაბა სურამის მიმდებარე ტერიტორიაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.

ობიექტი არ ხვდება დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს. რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, Shape-ფაილი, გეოსაინფორმაციო პაკეტი -4 გვერდი.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ნანა ზამთარაძე